<u>**პროექტი**</u>

საქართველოს კანონი

„დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №45, 21.12.2007, მუხ. 392) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ^1$“ და „$დ^2$“ ქვეპუნქტები:

„$დ^1$) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დიპლომატიის აკადემია (შემდგომში - აკადემია) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პოლიტიკის მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო და პოლიტიკის მეცნიერებებისა და დიპლომატია-საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამებს;

$დ^2$) კვალიფიკაციის ამაღლების ერთწლიანი კურსი - საგანმანათლებლო კურსი, რომლის მიზანია დიპლომატიური სამსახურის სპეციფიკის, პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენა/გამომუშავება, ასევე მომზადება და გადამზადება იმ საკითხებში, რომელსაც ახორციელებს სამინისტრო.“.

2. მე-12 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;“.

3. მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„5^1. პირები, რომლებიც ფლობენ აკადემიაში კვალიფიკაციის ამაღლების ერთწლიანი კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს, დიპლომატიურ თანამდებობაზე ინიშნებიან „დიპლომატიური სამსახურის გავლის წესის“ შესაბამისად.“.

4. 34-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1[1] პუნქტი:

„1[1]. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირს, უმაღლესი დიპლომატიური რანგი ენიჭება საქართველოს პრეზიდენტის მიერ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარდგინებითა და თანახელმოწერით.“.

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი შეიძლება მიენიჭოთ:

ა) მინისტრს;

ბ) მინისტრის პირველ მოადგილეს;

გ) მინისტრის მოადგილეს;

დ) იმ უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირებს, რომლებსაც უკავიათ ან ეკავათ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ან საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობა.“.

5. კანონის V თავის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის V[1] თავი:

„თავი V[1]. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დიპლომატიის აკადემია

მუხლი 40[1]. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დიპლომატიის აკადემიის სტატუსი

1. აკადემია წარმოადგენს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

2. აკადემიის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.

3. აკადემიის საქმიანობის წესი განისაზღვრება წესდებით, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად, ამტკიცებს მინისტრი.

4. აკადემია ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამას, კვალიფიკაციის ამაღლების ერთწლიან კურსსა და მინისტრის გადაწყვეტილების შემთხვევაში - სხვა კურსებს.

5. სამინისტრო აკადემიისთვის ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს აკადემიის პროგრამულ დაფინანსებას.

6. აკადემიის წესდებით შეიძლება განისაზღვროს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის გათვალისწინებულისაგან განსხვავებული სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და მართვის ორგანოები, აგრეთვე დადგინდეს აკადემიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დაკომპლექტებისა და რექტორის თანამდებობის დაკავების განსხვავებული წესები.

7. აკადემიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მინისტრის ბრძანების შესაბამისად.“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**